„ლელო“

13 იანვარი, ოთხშაბათი, 1993 წ.
№ 2 (10790) ● ფასი 3 მან.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# გუდაური-93

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ტურიზმის კომისია მუშაობას შეუდგა

ამ ეტაპზე კომისიის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა მოამზადოს სპორტისა და ტურიზმის კანონპროექტები და წარუდგინოს იგი პარლამენტს განსახილველად.

ფიზკულტურულ, სპორტულ და ტურისტულ ორგანიზაციებს, სპეციალისტებს, გულშემატკივრებს, ყველას, ვისაც სურვილი აქვს მონაწილეობა მიიღოს კანონპროექტების შექმნაში, ვთხოვთ მოგვაწოდონ თავიანთი წინადადებები. პირველ ყოვლისა, გვაინტერესებს თქვენი აზრი, თუ რა კანონია აუცილებლად მისაღები, ამასთან, დიდად მადლობელი დავრჩებით, თუ შემოგვთავაზებთ კანონპროექტის თქვენეულ ვარიანტს.

წინასწარ გიხდით მადლობას თანადგომისთვის.

თქვენი წინადადებები და კანონპროექტის ვარიანტი შეგიძლიათ მოგვაწოდოთ საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ტურიზმის კომისიაში (რუსთაველის 29, ოთახი 301) ან „ლელოს“ რედაქციაში (კოსტავას 14) ან დაგვირეკოთ: 99-48-42, 98-40-57 (კომისიაში), 99-56-14 („ლელოს“ რედაქციაში).

**საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ტურიზმის კომისია.**

# „მოულოდნელი“ წყალი

**წყალბურთში** საქართველოს თასის გათამაშება ასე ნაჩქარევად იმიტომ ჩატარდა, რომ ენერგოკრიზისის მიზეზით თბილი წყლის უქონლობის ჟამს ვაკის აუზში სრულიად მოულოდნელად გაჩნდა თბილი წყალი. ასპარეზობას, რომელიც თბილისის დინამოელთა გამარჯვებით დასრულდა (მათ სუპერფინალში 11:5 სძლიეს თსუ-ს „მესეფენს“), თავისი „ქვეტექსტიც“ ჰქონდა — უნდა გამოვლენილიყვნენ ის წყალბურთელები, ვისაც მსოფლიო თასის საკვალიფიკაციო ტურნირში (გაიმართება მარტის ბოლოს ბელარუსის, უკრაინის, მოლდოვის, რსფსრ-ს და საქართველოს ნაკრებთა მონაწილეობით) ჩვენი რესპუბლიკის ღირსების დაცვა დაეკისრება.

საქართველოს ნაკრებს სათავეში ჩაუდგა წარსულში თბილისის „დინამოს“ მოთამაშე გია ზუმბულიძე.

# თბილად იყავით, ბიჭებო!

**საქართველოს** რესპუბლიკის სპორტის კომიტეტმა ნახევარ მილიონზე მეტი მანეთის ღირებულების 200 კომპლექტი თბილი ტანსაცმელი შეკრა შეკვეთით აფხაზეთში ქართველი მეომრებისთვის. ესოდენ საჭირო ნობათი გუშინწინ სოხუმში ჩაიტანეს და აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თ. ნადარეიშვილის განკარგულებით აეროპორტიდანვე გაუგზავნეს ჯარისკაცებს. თ. ნადარეიშვილმა მადლობა გადაუხადა საქართველოს სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობას დახმარებისთვის.

# გაზეთ „ლელოს“ გადასარჩენად

**საბურთალოს** რაიონის ბინსოც ბანკიდან მივიღეთ ახალი ცნობა — „ლელოს“ დროებით ანგარიშზე გაზეთის დასახმარებლად თანხები გადარიცხეს: კოოპერატივი „შუქი“ — 10 000 მანეთი; თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკა — 30.000; თავისუფალი ჭიდაობის ფედერაცია — 30 000; განათლების სამინისტროს მძლეოსნობის ოლიმპიური რეზერვის რესპუბლიკური სკოლა — 20.000; თბილისის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების პროფკავშირი — 3.000; წყალთა სახეობების ფედერაცია — 10 000.

# „დინამო“ მოსკოვში მიიწვიეს

**სულ** მალე მოსკოვში გაიმართება ყოფილი სსრ კავშირის საუკეთესო საფეხბურთო გუნდების საერთაშორისო ტურნირი, მასში მონაწილეობის მისაღებად მიიწვიეს თბილისის „დინამოც“.

თბილისელთა გუნდის მოთამაშეებმა და ხელმძღვანელობამ გადაწყვიტეს ისპარეზონ ამ საინტერესო ტურნირში, რომელიც 25 იანვარს დაიწყება. ტურნირი მოეწყობა ჯგუფური სისტემით, თბილისელთა მეტოქეები „ბ“ ჯგუფში იქნებიან უზბეკეთის, მოლდოვისა და თურქმენეთის გუნდები, ჯგუფებში გამარჯვებულნი 31 იანვარს ფინალურ მატჩში ითამაშებენ. ტურნირის საპრიზო ფონდი 20 მილიონი მანეთია.

# კახი ცხადაძე — „აინტრახტში“

როგორც „ოსტანკინოს“ ტელევიზიის საფეხბურთო მიმოხილვაში ითქვა, თბილისის „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელი კახი ცხადაძე მიიწვია გერმანიის ცნობილმა კლუბმა „აინტრახტმა“ (მაინის ფრანკფურტი).

**იყო** დრო, ვამაყობდით საქართველოს სამთო-მოთხილამურეებით — მიხეილ გავა, ლალა ფანჯიკიძე, ლიანა გოგოლაძე, ბორის კახიანი, გერა აბრამიშვილი, სოსო ნასყიდაშვილი, იბრაგიმ ჯანგობეკოვი, ვიქტორ სანაკოევი, გოგი ჯიქოევი, იური ოგანეზოვი, გია ორჯონიკიძე და სხვები რიხიან სათქმელს ამბობდნენ თოვლიან ტრასებზე.

დღეს უჭირს საქართველოს, უჭირს ქართულ სამთო-სათხილამურო სპორტსაც, რომლის აღორძინებას სერიოზულად მოჰკიდა ხელი ახლადარჩეულმა ზამთრის სახეობების რესპუბლიკურმა ფედერაციამ (თავმჯდომარე სოლიკო ხაბეიშვილი). დღეისათვის უკვე ჩატარდა დიდი საორგანიზაციო სამუშაო საქართველოს სამთომოთხილამურეების საერთაშორისო ფედერაციაში გასაწევრიანებლად. 1994 წელს საქართველო პირველად წარდგება დამოუკიდებელი გუნდით ლილეჰამერში ზამთრის ოლიმპიადაზე. ფედერაციის ძალისხმევით შესაძლებელი გახდა საქართველოს სამთო-მოთხილამურეების ევროპაში გასვლა — დაკომპლექტდა ნაკრები გუნდი, რომელიც გამოცდილი სპეციალისტის გერა აბრამიშვილის ხელმძღვანელობით შეუდგა წვრთნას და უკვე რამდენიმე საერთაშორისო შეჯიბრებაშიც მიიღო მონაწილეობა.

ახლახან დაბა გუდაურში მოეწყო ზამთრის სპორტული სეზონის გახსნისა და ე. წ. საშობაო არდადეგების პრიზების გათამაშება, რომლებსაც უნდა ეჩვენებინა, რა შესაძლებლობებით ვხვდებით ოლიმპიადის წინა წელს და დაედგინა ნაკრები გუნდის შემადგენლობა.

საქართველოს სპორტკომიტეტისა და შეჯიბრების სპონსორების — გუდაურის სპორტული კომპლექსისა და „დემოკრატიისა და აღორძინების ფონდის“ ხელშეწყობით შესაძლებელი გახდა დაძლეულიყო არაერთი ფინანსური და ორგანიზაციული პრობლემა, შეჯიბრების გამართვას რომ აბრკოლებდა.

სტარტზე გამოვიდა საქართველოს ყველა უძლიერესი მოთხილამურე, რომელთაგან რამდენიმე პირდაპირ აფხაზეთიდან, ფრონტის ხაზიდან იყო ჩამოსული. მაგრამ, სამწუხაროდ, ამინდის ჭირვეულობამ შეცვალა შეჯიბრების პროგრამა: სეზონის გახსნის პრიზზე დიდთოვლობის გამო მოხერხდა მხოლოდ ერთი დისციპლინის — სპეციალური სლალომის ჩატარება. პროგრამის უნებლიე შეკვეცის ასანაზღაურებლად მსაჯთა კოლეგიამ გადაწყვიტა საშუალება მიეცა სპორტსმენებისთვის სპეციალურ სლალომში ორი სტარტი აეღოთ.

პირველ ტრასაზე იმარჯვა ლევან აბრამიშვილმა, მეორეზე — ზურაბ ჯიჯიშვილმა. „საშობაო არდადეგების“ პრიზზე შეჯიბრებისას დაბინდების გამო მსაჯთა კოლეგია იძულებული გახდა ერთი დისციპლინით — გიგანტური სლალომით შემოფარგლულიყო. აქ გიორგი გავასა და ზ. ჯიჯიშვილს უშეღავათო ბრძოლაში გაიმარჯვა უკანასკნელმა.

შეჯიბრებამ გამოავლინა სპორტსმენთა მომზადების ყველა ნაკლი და ღირსება, რომელთა გათვალისწინებით დაკომპლექტდა ნაკრები გუნდი. იგი ჯერ გუდაურში განაგრძობს წვრთნას, მერე კი ევროპაში გაემგზავრება სხვადასხვა შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად.

შეირჩა ნიჭიერი ახალგაზრდა მოთხილამურეების ჯგუფიც, რომელიც ასევე შეკრებას გუდაურში გაივლის და რომელთაგანაც დაკომპლექტდება ახალგაზრდული ნაკრები. იგი იანვარში მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო შეჯიბრებაში, რომელიც იტალიაში გაიმართება.

**ალექსანდრე კანდელაკი**

# აღიარება

**საქართველოს** სასროლო სპორტისა და მშვილდოსნობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა გივი ბოსტოღანაშვილმა გუშინ ტელეფონით გაგვაცნო შინაარსი ტელექსისა, რომელიც სასროლო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის შტაბბინიდან (მიუნხენი) მოვიდა და რომელსაც ხელს აწერს ამ ფედერაციის გენერალური მდივანი ბატონი ჰორსტ გ. შრაიდერი. ტელექსი იტყობინება: „სასროლო სპორტის საერთაშორისო ფედერაციამ მორიგ კონგრესზე ხმების დიდი უმრავლესობით დადებითად გადაწყვიტა საქართველოს სასროლო სპორტის (ტყვიის სროლა და სტენდი) ფედერაციის თავის წევრად მიღება (დროებით, სრული უფლებით). გილოცავთ ამ აღიარებას! თქვენი ფედერაციის საერთაშორისო ფედერაციის წევრად სრული აღიარება მოხდება ჩვენი ფედერაციის ასამბლეაზე“.

## ინფორმაცია

● **თბილისის** ჭადრაკის სასახლეში გრძელდება დედაქალაქის ვაჟთა ჩემპიონატი (შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად), რომლის გამარჯვებული საქართველოს პირველობის უმაღლეს ლიგაში მონაწილეობის უფლებას მიიღებს. 81 მოჭადრაკეს შორის 4 ტურის მერე უდანაკარგოდ ასპარეზობენ კახა შილამბერიძე და ალექსანდრე ლაზარაშვილი.

ვაჟთა მსოფლიო პირველობა ჭადრაკში ● პრეტენდენტთა ფინალური მატჩი

GENS UNA SUMUS

# ვინ შეხვდება კასპაროვს?

**კვირას** ესკურიალში (მადრიდთან ახლოს), ესპანეთის მეფეების ძველ სასახლეში დაიწყო მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტების ფინალური მატჩი. ერთმანეთს ხვდებიან იან ტიმანი (ჰოლანდია) და ნაიჯელ შორტი (ინგლისი). გამარჯვებული აგვისტოში შეხვდება მსოფლიო ჩემპიონ გარი კასპაროვს.

ის, ვინც ამ მატჩს მოიგებს, ჰონორარის სახით 125 ათას დოლარს მიიღებს, დამარცხებული — 75 ათას დოლარს.

ორი პარტიის შემდეგ ანგარიშია 1,5:0,5 ტიმანის სასარგებლოდ.

გთავაზობთ ფინალისტების სპორტულ პორტრეტებს.

## იან ტიმანი

„მე, ვინ მოთვლის, რამდენჯერ ვიყავი მსოფლიოს № 3 მოჭადრაკე!“ — წამოიძახა ერთხელ კასპაროვ-კარპოვის განუყოფელი ბატონობის დროს იან ტიმანმა. ეს იმასაც ნიშნავდა, რომ „მესამე პოზიციაზე“ მას დიდხანს არავინ აჩერებდა.

დღეს, რეიტინგს კი არა, თუ პრეტენდენტთა ასპარეზობის ფინალში მონაწილეობის უფლებას გავითვალისწინებთ, ტიმანი მე-2, მე-3 მოჭადრაკეა მსოფლიოში.

იან ჰენრიკ ტიმანი დაიბადა 1951 წლის 11 დეკემბერს ამსტერდამში. ჭადრაკს 7 წლის ასაკიდან თამაშობს. დიდი საბრძოლო წრთობა მიიღო ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატებში, სადაც 1967 წელს მესამე ადგილი დაიკავა პუერტორიკოელ ხულიო კაპლანისა და ინგლისელ რაიმონდ კინის შემდეგ.

[illegible]

ლანდიის ჩემპიონატ[illegible] ერთაშორისო ტურნირში (მათ შორის, თბილისში) მიიღო მონაწილეობა. ჰოლანდიელის პირველი პრიზების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. წლების განმავლობაში ზედიზედ იმდენ ტურნირში თამაშობდა, რომ ბოლოს ემართებოდა კარგად ცნობილი ავადმყოფობა, რომელსაც „ჭადრაკის მოყირჭება“ ჰქვია. მხოლოდ ბოლო წლებში შეადგინა რაციონალური განრიგი, რათა შეჯიბრებებში მონაწილეობის შემდეგ ცოტაოდენი დასვენების დროც ჰქონოდა, თუმცა ეს დასვენება პირობითია: ტიმანი ჟურნალ „ნიუ ინ ჩესის“ მთავარი რედაქტორია და [illegible]

იასი [illegible] ნაკრების ლიდერია. წლების განმავლობაში ხელმძღვანელობს გუნდს საერთაშორისო ოლიმპიადებში, მსოფლიოსა და ევროპის გუნდურ ჩემპიონატებში.

70-იანი წლების შუახანებიდან მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს დიდოსტატად ითვლება. ეს წოდება 1974 წელს მოიპოვა. საზონათაშორისო ტურნირებს 1985 წლამდე ვერ გასცდა. მაშინ, ბოლოსდაბოლოს, გაიმარჯვა ტასკოს (მექსიკა) საზონათაშორისო ტურნირში და პირველად გახდა პრეტენდენტი. იმ წელს მონპელიეში გამართულ პრეტენდენტთა ტურნირში — IV-V ადგილები გაიყო მიხეილ ტალთან. რაჩან შემდგომ ეტაპზე პირველი ოთხი პრეტენდენტი [illegible] მართა ტიმანისა და ტალის [illegible] ორთაბრძოლის 6 პარტია. მეტოქეებმა [illegible] პარტია მოიგეს და 4 ყაიმით დაამთავრეს. უკეთესი დამატებითი მონაცემებით უპირატესობა ტიმანს მიეკუთვნა. შემდგომ საფეხურზე ჰოლანდიელს „ფეხი და-

იხ. გვ. 2 გვ.

რაგბი — „ლელოს“ მიმოხილვა

# მარტო ირბ-ს ნუ გავამტყუნებთ

**მსოფლიო თასის მესამე გათამაშებაში, რომლის დასკვნითი ეტაპიც 1995 წელს გაიმართება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, საქართველოს ეროვნული ნაკრებიც მონაწილეობს.**

როგორც ახლახან შევიტყვეთ, ჩვენი გუნდი შესარჩევ შეჯიბრებაში ევროპისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ზონის აღმოსავლეთ ჯგუფში იასპარეზებს. აქ სულ შვიდი ქვეყნის ნაკრებია თავმოყრილი. რუმინეთი, როგორც წინა მსოფლიო თასის დასკვნითი ტურნირის მონაწილე, პირველ ეტაპზე თავისუფალია. დანარჩენი ექვსი ქვეყანა კი ორ სამგუნდიან ქვეჯგუფადაა განაწილებული. ერთში გერმანია, ლატვია და ლიტვა შედიან, მეორეში — პოლონეთი, რუსეთი და საქართველო. ქვეჯგუფებში წლეულს ერთწრიანი ტურნირები მოეწყობა — შესაბამისად გერმანიასა და პოლონეთში, აქ გამარჯვებულები კი 1994 წლის გაზაფხულზე რუმინეთს ეწვევიან ასევე ერთწრიანი შეჯიბრების გასამართად და საბოლოოდ სწორედ ამ სამთა ტურნირის გამარჯვებული გაემგზავრება სამხრეთ აფრიკას.

როგორც ვხედავთ, საქართველოს გუნდს, თუკი სამხრეთ აფრიკაში გამგზავრება სურს, ძნელი ამოცანის გადაწყვეტა მოუწევს. ჩვენებმა ჯერ პოლონეთში უნდა აჯობონ მასპინძლებს და რუსებს, შემდეგ კი რუმინეთში — ისევ მასპინძლებს. ერთი სიტყვით, გინდ ჩვენმა ნაკრებმა სულ იმარჯვოს და იმარჯვოს, ჩვენებური გულშემატკივარი მის თამაშს მაინც ვერ ნახავს, და აი, რატომ:

ეტყობა, მართალი ყოფილა, ირბ-ს კონსერვატორობას რომ უკიჟინებდნენ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ეს ორგანიზაცია ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ მსოფლიო ასპარეზზე ახალი ქვეყნების გამოსვლით სტატუს-ქვო არ დაირღვეს. თავად განსაჯეთ: მართალია, ირბ-ს უკვე 59 წევრი ჰყავს, მაგრამ აღმასკომში რვა დამფუძნებელ წევრს მხოლოდ ოთხი ახალი კავშირი — კანადა, არგენტინა, იტალია და იაპონია დაუმატა და ეს ცვლილება წესდებაშიც აღინუსხა (?!) შეძლებული სპონსორების მიზიდვით ირბ „სარაგბო“ ქვეყნებში განსასწავლად იწვევს სპეციალისტებს, ოღონდაც მხოლოდ პირველი და მეორე მსოფლიო თასების დასკვნითი ეტაპების მონაწილე ქვეყნებიდან. დაბოლოს, ირბ-ი ცდილობს, მსოფლიო თასის დასკვნითი ეტაპი დიდის ამბით გამართოს და მთელ მსოფლიოს აჩვენოს; სამაგიეროდ კი, შესარჩევი შეჯიბრებები მოკვეცოს და ახალბედებს ყოველმხრივ გაურთულოს ელიტიდან ვინმეს გამოძევება.

ზემოთქმულს ცხადყოფს შემდეგი ფაქტები: თუმცა თავიდან გამოცხადდა, რომ მსოფლიო თასის დასკვნითი ეტაპისთვის განთესავდნენ მხოლოდ წინა მსოფლიო თასის სამ პრიზიორს და მასპინძელ ქვეყანას, ე. ი. 16 ადგილიდან შეურჩევლად გაანაწილებდნენ მხოლოდ ოთხს, საბოლოოდ განთესილთა რიცხვი ცხრა გამოვიდა — წინა მსოფლიო თასის რვავე მეოთხედფინალისტი პლუს მასპინძელი, სამხრეთ აფრიკა; ე. ი. 16 ადგილიდან ამთავითვე დაკავებული 9 აღმოჩნდა, თავისუფალი, შესარჩევ შეჯიბრებებში გასათამაშებელი კი — მხოლოდ 7. შედარებისთვის შევნიშნოთ, რომ ფეხბურთელთა 1994 წლის მსოფლიო თასისთვის 24 ადგილიდან მხოლოდ ორია დაჯავშნული, დანარჩენი 22 კი შესარჩევ შეჯიბრებებში თამაშდება.

მადლობა ღმერთს, რომ სანუკვარი 7 ადგილიდან სამი ევროპასა და ხმელთაშუაზღვისპირეთს ერგო. აქაც განაწილების კრიტერიუმი ძველი დამსახურება იყო — წინა მსოფლიო თასზე მეოთხედფინალის მიღმა სამი ევროპული გუნდი დარჩა, თანაც ამ ზონაში სხვებზე ბევრად მეტმა, 22-მა მონაწილემ მოიყარა თავი. სწორედ ეს სამი ხელმრცა-



რული — ძლევამოსილი უელსი, იტალია და რუმინეთი შეარჩიეს „ჯილებად“ და დანარჩენი ქვეყნები სიახლოვის მიხედვით მათ ირგვლივ დააჯგუფეს.

დამსახურებათა გამო პრივილეგიების ბოძება ამით არ დამთავრებულა. ევროპა-ხმელთაშუაზღვისპირეთის აღმოსავლეთში სამნი — „ჯილა“ რუმინეთი, აგრეთვე პოლონეთი და გერმანია წინა მსოფლიო თასზე მონაწილეობდნენ, ოთხი საბჭოთაყოფილი ქვეყანა — ლატვია, ლიტვა, რუსეთი და საქართველო კი — არა. ჰოდა, სამთა ტურნირების მასპინძლობა სათითაოდ ყველა „ძველს“ ერგო და არცერთ „ახალს“.

აშკარა უსამართლობაა! არადა, ქართული რაგბის ხელმძღვანელთაგან ირბ-ის ფორუმზე — ნოემბერში გამართულ საყოველთაო კრებაზეც არავინ ყოფილა, რომ გაებრძოლა. მით უფრო, თუ გერმანიისა და პოლონეთის ქვეჯგუფები აშკარად არატოლფასოვანია — მეორის თითოეული მონაწილე პირველის ყველა წევრს მოუგებს, რის გამოც 1994 წლის გაზაფხულზე რუმინეთს ერთი, პოლონეთიდან „გამოსული“ მეტოქე ღირსეული ეყოლება, მეორე კი, გერმანიაში გამარჯვებული — აშკარად სუსტი. მართლაც სალაღობაა, საქართველო ან რუსეთი პირველსავე ეტაპზე რომ გამოაკლდნენ მსოფლიო თასს, ლატვია ან გერმანია კი რუმინეთს გაეჯიბრონ.

თუმცა, აი, ამ შოლო საკითხში ჭირს ირბ-ის გამტყუნება. საქმე ისაა, რომ საბჭოელყოფილთა ფარდობითი სიძლიერე ჩვენ კი კარგად ვუწყით, მაგრამ ირბ-ს მასზე წარმოდგენაც არა აქვს. საქმეს ისიც ართულებს, რომ რუსეთის მედიდურობისა და იქნებ საბოტაჟის გამოც დღემდე ვერ მოხერხდა საბჭოელყოფილთა გაჯიბრება ეროვნულ ნაკრებთა დონეზე. მეტიც, ფირა-ს ყოველწლიურ „წყალწყალა“ ჩემპიონატში სსრკ-ის ადგილი რუსეთმა დაიჭირა, სხვა რესპუბლიკები კი უქმად დარჩნენ. და მაინც, შარშან ივლისში საქართველომ კი დაამარცხა ლატვია 28:3, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, არავის უზრუნვია იმისთვის, ეს შედეგი მსოფლიოს რომ შეეტყო.

ჰოდა, ჩვენივე უგერგილობის შედეგს ახლა ვიმკით. ირბ-ს საბჭოელყოფილთა ძალის ერთადერთ საზომად ჩვენს მიერ ჩაფლავებული „მოსკოვური შვიდკაცა“ დარჩა, სადაც ლატვიასაც ჩამოვრჩით და რუსეთსაც. აი, ამიტომ „შვიდკაცაში“ პირველსა და მეოთხე ადგილებზე გასული გუნდები — ლატვია და ლიტვა ერთ ქვეჯგუფში მოახვედრეს, მეორე და მესამე „პრიზიორები“ — რუსეთი და საქართველო კი მეორეში. ლატვიამ „შვიდკაცის“ მოგებით მსოფლიოში „გაჭრა სარკმელი“, ჩვენ კი მისი წაგებით „დიდ“ მსოფლიო თასზეც გავირთულეთ საქმე.

ახლა გვიანია თითზე კბენანი. ფირა-ს ყოველწლიურ პირველობაზე არ დაგვიშვეს, საქართველოში სათამაშოდ არავინ ჩამოდის, ჩვენები შორს ვერ მიემგზავრებიან, ჩვენში საშინაო შეჯიბრებები კი იწყება, მაგრამ ვერ მთავრდება, პოლონეთში გასამართი ორი თამაშით კი ვერც ნაკრებს „დააპურებ“ და ვერც გულშემატკივარს. ერთი სიტყვით, ახლოს ანუ უკრაინაში გამგზავრების იმედიღა უნდა გვქონდეს.

**ზაზა ფხაკაძე**

---

# ჰელიო, ბიჭებო, ჰელიო!

**დღეს** ლია აუზების წყლით, თანაც ცხელით უზრუნველყოფაზე ლაპარაკი, ცხადია, ბევრს ღიმილს მოჰგვრის. დაგვეთანხმებით, მიზეზების ათასმეერთედ ჩამოთვლას, გამოსავლის პოვნაზე ლაპარაკი სჯობს. ამიტომაც გადავწყვიტეთ გავსაუბრებოდით წყალბურთის ცნობილ სპეციალისტს, ექსპერიმენტული პროექტირების თბილისის ზონალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მთავარ სპეციალისტს ჰელიოტექნიკის დარგში, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრს **ზურაბ ჩაჩავას**, რომელიც სპორტული ბაზების ცხელი წყლით მომარაგების პრობლემის გადაჭრის სულ სხვა გზას გვთავაზობს.

— საქმე ისაა, — თქვა ბატონმა ზურაბმა, — რომ ეს პრობლემა მარტო მოცურავეებსა და წყალბურთელებს კი არა, აწუხებს ყველას, ვისაც კი რაიმე კავშირი აქვს სპორტთან და სპორტულ ბაზებთან. ჩვენი ბაზები ხომ გაზის, მაზუთის ან ელექტროენერგიის უქონლობის გამო ძალზე ხშირად უქმად არიან და, თუ რამე არ ვიღონეთ, ეტყობა, კარგა ხანს გაგრძელდება ასე ეს განსაკუთრებით გვაღელვებს ჩვენ, საწყლოსნო სახეობების წარმომადგენლებს, რადგან აუზში თბილი წყალი და თბილი შხაპი ის პირობებია, ურომლისოდაც დანარჩენ პრობლემებზე ლაპარაკი აბსურდულიც კია. ამიტომ მიმაჩნია, რომ ამ სახეობებში საწვრთნელ-საშეჯიბრო აქტივობის პიკი უნდა მოდიოდეს წლის თბილ პერიოდზე — ღვთის მადლით, ჩვენში იგი თითქმის რვა თვე გრძელდება, რაც სავსებით საკმარისია მთელი წლის მანძილზე სპორტული ფორმის შესანარჩუნებლად, წლის ცივი პერიოდი კი აქტიური დასვენებისა და საერთო ფიზიკური მომზადებისთვის შეიძლება გამოვიყენოთ. სამწუხაროდ, ჩვენში რატომღაც პირიქით ხდება — ზაფხულობით ვისვენებთ, ზამთარში კი ვცდილობთ ცივ შენობებსა და აუზებში ვიმუშაოთ. ჩვენი კლიმატური პირობები გვაძლევს საშუალებას, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გამოვიყენოთ მზის დანადგარები ცხელი წყლის მისაღებად. ამ დანადგართა ექსპლუატაციის პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ ისინი შესანიშნავად მუშაობენ ზაფხულში, გარდამავალ პერიოდში კი სავსებით დამაკმაყოფილებლად. დანადგარი რვა თვის განმავლობაში იძლევა 40-50 გრადუსამდე ტემპერატურის ცხელ წყალს, რაც სრულიად საკმარისია საშხაპე და საუზე თბილი წყლისათვის. ერთი სიტყვით, თამამად შეგვიძლია გავუწიოთ რეკომენდაცია ჰელიოდანადგარებს საწყლოსნო ბაზებზე დასამონტაჟებლად, რაც რვა თვის განმავლობაში უზრუნველყოფს აუზების შეუფერხებელ მუშაობას.

გასათვალისწინებელია, ცხადია, ამ პრობლემის ეკონომიკური მხარეც. მოგეხსენებათ, როგორ გაძვირდა ენერგომატარებლები. მართალია, ბოლო წლებში გაძვირდა ჰელიოტექნიკური საშუალებანიც, მაგრამ ისინი გაცილებით ეკონომიურნი და, ამასთან, ტრადიციულ სითბურ წყაროებზე ეფექტურნი არიან. ამით იმის თქმა მინდა, რომ ჰელიოტექნიკაში „ჩადებული“ დღევანდელი მანეთი, ხვალ ორი, ზეგ კი ათი მანეთის ეკონომიას მოგვცემს. ისე რომ, ვფიქრობ, ღირს ამაზე დაფიქრება,

**ჩაიწერა უშანგ ბიბინაძემ.**

---

## ინფორმაცია

გამარჯვებით, თანაც დამუთანებით ჩამოვიდნენ ჩვენი მოტოკან-კარატეს მოფლეერები მონაკოში, ევროპის ჩემპიონატზე, ამიტომ პირად ასპარე-

...რებაში საქართველოს ნაკრებმა დაამარცხა დანიის — 3 : 2 და ისრაელის — 5 : 0 გუნდები, ევროპის მომავალ ჩემპიონებთან, შვეიცარიელთა გუნდთან კი დამარცხდა — 2 : 3 და 23-გუნდში საბოლოოდ V ადგილი დაიკავა.

---

# ვინ შეხვდება კასპაროვს?

(დასასრული)

უცდა“ — ნახევარფინალური მატჩი წააგო არტურ იუსუპოვთან — 3:6.

ამ დროიდან ტიმანი პრეტენდენტთა ასპარეზობის მუდმივი მონაწილეა. 1990 წელს იგი ფინალამდე მივიდა, აქ კი მძიმე მარცხი იგემა ანატოლი კარპოვთან (2,5:6,5).

რაც შეხება ახლანდელ ციკლს, ჰოლანდიელმა დიდოსტატმა იგი მშვენივრად წარმართა — სძლია ვიქტორ კორჩნოის, რობერტ ჰიუბნერს და არტურ იუსუპოვს.

ტიმანს მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეებთან შეხვედრების უდიდესი გამოცდილება აქვს, ამ მხრივ უძლიერეს დიდოსტატებს შორის უდავოდ პირველ ადგილზეა. 1984 წელს მონაწილეობდა საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკეების ნაკრებთა მატჩში, მეორე დაფაზე შეხვდა მსოფლიოს მომავალ ჩემპიონ გარი კასპაროვს და დამარცხდა — 1,5:2,5.

ჰოლანდიის საჭადრაკო ფედერაცია, კერძო ორგანიზაციები ტიმანს დიდ დახმარებას უწევენ; ყოველ დეკემბერს ჰილვერსუმში ეწყობა ტიმანის ამხანაგური მატჩი მსოფლიოს რომელიმე უძლიერეს მოჭადრაკესთან. ამ ორთაბრძოლებში ჰოლანდიელს საშუალება ეძლევა ითამაშოს თავისუფლად, განსაკუთრებული დაძაბულობის გარეშე, შეამოწმოს თავისი სადებიუტო სისტემები, იზრუნოს შემოქმედებით მხარეზე. ასეთ მატჩებში ტიმანმა მოუგო პოლუგაევსკისა და პორტიშს, ყაიმით დაამთავრა შეხვედრები კორჩნოისა და იუსუპოვთან, წააგო ტალთან და სეირავანთან. განსაკუთრებით საინტერესო იყო 1985 წლის მატჩი კასპაროვთან, რომელშიც ტიმანი დამარცხდა ანგარიშით 2:4.

იგი აქტიური სტილის მოჭადრაკეა, აქვს დიდი სადებიუტო ერუდიცია, ძლიერად თამაშობს რთულ მიტელშპილში, მშვენივრად წარმა- ...ში ...

...კიოსად) ჰოლანდიელს ეკარგება ბრძოლის წყურვილი და ტურნირზე ხელსაც კი ჩაიქნევს ხოლმე. ასე მოხდა ამას წინათ მოსკოვში, ალექსანდრე ალიოხინის მემორიალზე. ვინ იფიქრებდა, რომ 8 დიდოსტატს შორის ტიმანი დაიკავებდა... ბოლო ადგილს!

ტიმანთან რამდენიმე ცნობილი თეორეტიკოსი თანამშრომლობს. ეჭვგარეშეა, იგი მომზადებული ხვდება გაცილებით უფრო ახალგაზრდა შორტთან მატჩს...

## ნაიჯელ შორტი

**არც** ისე დიდი ხნის წინათ ინგლისურმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს ასეთი ფოტოსურათი: მსოფლიო ექსჩემპიონი ვასილ სმისლოვი ლონდონში ერთდროული თამაშის სეანსს ატარებს. იგი შეჩერდა დაფასთან, სადაც პატარა, ტიპიური ინგლისური გარეგნობის ქერათმიანი ბიჭი გულდასმით ფიქრობს სვლაზე.

ეს ბიჭი — ნაიჯელ დევიდ შორტი ახლა მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი გახლავთ. იგი დაიბადა 1965 წლის 1 ივნისს, ქ. ლი...ში. საჭადრაკო ნიჭით ადრე მიიქცია ყურადღება. ინგლისური ტრადიციის თავისებური დარღვევაც იყო ის ამბავი, რომ 12 წლისამ ინგლისის ვაჟთა ჩემპიონატში ითამაშა. მერე კარგი სკოლა გაიარა, თანატოლთა ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია. 1979 წელს კადეტების მსოფლიო ჩემპიონატში I-II ადგილები გაიყო. უკეთესი კოეფიციენტის გამო ჩემპიონობა არგენტინელ ტემპონეს მიენიჭა. 1980 წელს დორტმუნდში, ჭაბუკების მსოფლიო ჩემპიონატში შეხვდა პირველად კასპაროვს, რომელთანაც შემდეგ, ვინ მოთვლის, რამდენი პარტია უთამაშია. დორტმუნდში კასპაროვი ჩემპიონი გახდა, ნაიჯელს კი მეორე ადგილი ხვდა.

1984 წელს შორტი პირველად გახდა დიდი ბრიტანეთის ჩემპიონი, რის შემდეგ ინგლისის ნაკრებშიც მიიწვიეს და ხშირად წარმატებითაც გამოდის საერთაშორისო ტურნირებში, ოლიმპიადებში, მსოფლიოსა და ევროპის პირველობებზე. სწორედ ამ წლიდან ითვლება ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო მოჭადრაკედ, საერთაშორისო დიდოსტატის წოდებაც ამ წელს მიიღო (ყველაზე უფრო ახალგაზრდა დიდოსტატი მსოფლიოში).

არ შევუდგებით შორტის მიღწევათა ჩამოთვლას, მაგრამ ორიოდეს მაინც გავიხსენებთ. 1985 წელს ერთი მეცენატის ინიციატივით საინტერესო მატჩი გაიმართა — ერთმანეთს შეხვდნენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ჩემპიონები. ამ მატჩში მოულოდნელი რამ მოხდა: შორტმა დაამარცხა ლევ ალბურტი ანგარიშით 7:1 (ექვსი მოგება, ორი ყაიმი). შორტს ერთი საინტერესო მატჩიც აქვს ნათამაშევი „სწრაფ ჭადრაკში“, 1987 წელს ლონდონში მსოფლიო ჩემპიონ გარი კასპაროვთან. მიმომხილველებმა ჩათვალეს, რომ შედეგი ორივე მხრისათვის საპატიო იყო: კასპაროვმა მოიგო 4 პარტია, ინგლისელმა — 2.

1984 წლიდან უკვე მომძლავრებული ახალგაზრდა მოჭადრაკე მსოფლიო პირველობისთვის ბრძოლაში ჩაება, ერთი წლის მერე კი ითამაშა პრეტენდენტთა ტურნირში. იგი იყო პირველი ინგლისელი მოჭადრაკე, რომელმაც პრეტენდენტთა ასპარეზობაში მიიღო მონაწილეობა. თამაშობდა ფრიად ენერგიულად, შემტევი სტილით, თუმცა თავდაცვა ნაკლებად ეხერხებოდა. იმ წლებში შორტს, რომელიც მეორე ცნობილ ინგლისელ დიდოსტატ სპილმენთან ერთად მუშაობს, ჩინებული სადებიუტო მომზადება ჰქონდა. შემდეგში, როცა ფიდემ შეცვალა პრეტენდენტთა ასპარეზობის ჩატარების წესი და ტურნირის ნაცვლად მატჩები დააწესა, მეგობრები ადრეულ სტადიაზევე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ექსპერტები ფიქრობდნენ, რომ შორტი სძლევდა სპილმენს, მაგრამ... სპილმენმა გაიმარჯვა.

1991-93 წლების მსოფლიო პირველობის ციკლში შორტმა თავიდან დაიწყო ბრძოლა და მეტ წარმატებასაც მიაღწია; ჯერ „შური იძია“ სპილმენზე და გათამაშებიდან გამოთიშა იგი. მომდევნო მატჩში მინსკელ ბორის გელფანდთან (რომელსაც მაშინ მსოფლიოში მესამე რეიტინგი ჰქონდა) ინგლისელს უპირატესობას არავინ ანიჭებდა, მაგრამ... შორტმა ბრწყინვალედ ითამაშა და ნახევარფინალში ანატოლი კარპოვს შეხვდა. ნაიჯელს მასთან ადრე არაერთი მარცხი უგემია, მაგრამ „ლომები მეფობენ და არა მეფენი“. ამჯერად ექსჩემპიონმა ვერ გაუძლო მეტოქის შეტევებს. შორტმა გაიმარჯვა და საჭადრაკო მსოფლიო კასპაროვ-კარპოვის მორიგი, რიცხვით მეექვსე მატჩისაგან იხსნა.

**გივი ბაგრეკელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კვიპროსზე... ყიფიანის პირისპირ



კვიპროსის ფეხბურთის ფედერაციის მიწვევით ამ ქვეყანაში ტურნე გამართა საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა, სადაც მან 3 მატჩი ითამაშა, შეხვდა კვიპროსის ეროვნულ გუნდს და უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე ადგილობრივ საფეხბურთო კლუბებს ნიქოზიის „ოლიმპიაკოსსა“ და ლარნაკას „ანართოსისს“.

სამშობლოში დაბრუნებისთანავე გავესაუბრეთ საქართველოს ეროვნული ნაკრების ტექნიკურ დირექტორს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს **რამაზ შენგელიას**:

— კვიპროსში ჩვენი ვიზიტი გამგზავრებამდე ორი კვირით ადრე იყო ცნობილი. იმ დროისთვის ჯერ კიდევ სრულად არ იყო ჩამთავრებული საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრის გამოტოვებული ტურის მატჩები. ნაკრებში მიწვეულ ფეხბურთელებს ამან გარკვეული უხერხულობა შეუქმნა და, რა თქმა უნდა, 4-5 დღით შეუმცირა ისედაც მოკლე მოსამზადებელი ციკლი. არც ამინდმა გაგვიმართლა. მთელი დატვირთვით ვერ ივარჯიშეს ყიზილაშვილმა, ცომაიამ (ტრავმის გამო). გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე ავად გახდა ცხადაძე, ამას დაემატა ნაკრების წამყვანი დინამოელი ფეხბურთელების არყოფნა ავსტრიული ტურნეს გამო. ყოველივე ზემოხსენებულმა გარკვეულწილად იმოქმედა გუნდის თამაშზე, თუმცა პირველ მატჩში მარცხს (0:1) სხვა მიზეზებიც ჰქონდა: კერძოდ, 21 დეკემბერს, როგორც დაგეგმილი იყო, პირდაპირი რეისით უნდა გავფრენილიყავით ლიმასოლში, ეს კი მთელი 7 საათის დაგვიანებით მოხერხდა, ფეხბურთელებს ამ ხნის მანძილზე ყინვაში მოუხდათ ლოდინი. აღნიშნულს დაემატა ჩაფრენის მეორე დღესვე დანიშნული მატჩი, რის გამოც, ცხადია, ვერ მოვასწარით აკლიმატიზაცია. მარცხის მეორე და მთავარი მიზეზი მეტოქის მიერ შემოთავაზებული მჭიდრო მეურვეობა იყო. ჩვენი ბიჭები ასეთი თამაშისთვის აშკარად არ იყვნენ მზად. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მომდევნო შეხვედრებში ჩვენმა ფეხბურთელებმა გამოასწორეს თამაში.

● **როგორ შეფასებას მისცემდით ნაკრების მომდევნო მატჩებს?**

— დადებითს. ისე შეიძლებოდა სამივე შეხვედრაში უკეთესი შედეგის ჩვენება. „ოლიმპიაკოსთან“ (რომელსაც დავით ყიფიანი უდგას სათავეში) ჩვენი ბიჭები უფრო ცოცხლად გამოიყურებოდნენ და მეტოქე დაამარცხეს კიდეც — 2:0. ამ მატჩში გამოვყოფდი დარასელიას, ნემსაძეს, მიშა ჯიშკარიანს, კაჰარავას, ქეცბაიას და ჰედიას. აქვე მინდა აღვნიშნო — გუნდს ამ ქვეყნის ნაკრებთან მეორე ან მესამე შეხვედრა რომ ჩაეტარებინა, წარმატებას უეჭველად ჩვენ მივაღწევდით, მაგრამ...

მესამე მეტოქე „ანართოსისი“ ამჟამად კვიპროსის ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერია და „ოლიმპიაკოსზე“ გაცილებით ძლიერად თამაშობს. ამიტომაც ძალების სრული მობილიზება დაგვჭირდა, თუმცა ადვილად ვძლიეთ — 4:1. ამ შეხვედრაში მინდა აღვნიშნო დევაძის კარგი თამაში. მან „ანართოსისის“ ფეხბურთელების მიერ ჩვენს საჯარიმოსთან განხორციელებული რამდენიმე მწვავე იერიშისას ზედიზედ ოთხი ძნელი ბურთი მოიგერია. რასაც ადგილობრივი გულშემატკივრების ოვაციები მოჰყვა.

● **ტურნეს დროს ამ ქვეყნის კლუბებმა სურვილი ხომ არ გამოთქვეს ჩვენი მოთამაშეები მიეწვიათ თავიანთ გუნდებში?**

— „ანართოსისის“ კლუბის პრეზიდენტს ჰქონდა საუბარი მიშა ჯიშკარიანთან და ყიზილაშვილთან... შედეგი ჩემთვის უცნობია.

● **გაგვაცანით ნაკრების სამომავლო გეგმები?**

— ჯერჯერობით უახლოესი სპარინგ-პარტნიორის ძიებაში ვართ. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მოლაპარაკებას აწარმოებს სლოვენიის, უკრაინის, ესპანეთის შესაბამის ფედერაციებთან, ვნახოთ რა პასუხს მივიღებთ.

ესაუბრა **რამინ ყურაშვილი.**

## სტატისტიკის მოყვარულთათვის

**კვიპროსის ეროვნული ნაკრები — საქართველოს ეროვნული ნაკრები 1:0 (1:0).**

**22 დეკემბერი. ლიმასოლი. ცენტრალური სტადიონი. 500 მაყურებელი.**

**კვიპროსი:** ი. იოანუ, ვალოსეუ, პანაგი, კონსტანტინუ, ხრისტოფი, ლარკუ, იანგულაკისი, დ. იოანუ, სიკორიუ, პიტასი, სავიდისი.

**საქართველო:** დევაძე, ჰედია, ცხადაძე (კაბისაშვილი, 46), შელია, გ. ჯიშკარიანი, გოგიჩაიშვილი, ცომაია, დარასელია (ნემსაძე, 72), კაჰარავა, ქეცბაია, ყიზილაშვილი (მ. ჯიშკარიანი, 72).

მსაჯი: კონსტანტინო (კვიპროსი).

გოლი დ. იოანუ (43).

გააფრთხილეს: სიკორიუ, კონსტანტინუ, ქეცბაია, ცომაია.

• • •

**„ოლიმპიაკოსი“ (ნიქოზია, კვიპროსი) — საქართველოს ნაკრები 0:2 (0:1).**

**24 დეკემბერი. ნიქოზია. „ოლიმპიაკოსის“ სტადიონი. 500 მაყურებელი.**

**„ოლიმპიაკოსი“:** ლუიზო, აპოსტოლუ, ხრიზოსტოლუ, ფალიოზი, ბლაგიდისი, იასუმისი, საფრაფიმი, ავგუსტისი, ხრისტოდოუ, სტავროსი, ჯაბურასი.

**საქართველო:** მაკასარაშვილი, ჰედია, ცხადაძე, შელია (სიდამონიძე, 60), კაბისაშვილი, ნემსაძე, ქეცბაია, გოგიჩაიშვილი, კაჰარავა, დარასელია, მ. ჯიშკარიანი.

მსაჯი ხრისტოპოლუ (კვიპროსი).

გოლები: გ. დარასელია (39), გ. ნემსაძე (48).

• • •

**„ანართოსისი“ (ლარნაკა, კვიპროსი) — საქართველოს ნაკრები 1:4 (0:2).**

**27 დეკემბერი. ლარნაკა. „ანართოსისის“ სტადიონი. 2500 მაყურებელი.**

**„ანართოსისი“** პანაეტუ, მელონაკიდისი, იოანუ, კონსტანასი, მ. პანაგა, მიხაილი, ხალალამბუსი, პუნასი (პანდროუ, 46), შარკუ, კოსტოვი, ხრისტოფირუ.

**საქართველო:** დევაძე, ჰედია, ცხადაძე, შელია, კაბისაშვილი, ნემსაძე, ქეცბაია, გოგიჩაიშვილი, კაჰარავა, დარასელია, მ. ჯიშკარიანი.

მსაჯი: პოპიდისი (კვიპროსი).

გოლები: გ. დარასელია (17), მ. ჯიშკარიანი (25), მ. შელია (55), პანდროუ (60), კ. გოგიჩაიშვილი (73).)

# ნიაზბეი ძიაპშიპა

ხანგრძლივი, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 65 წლისა, გარდაიცვალა ჩვენი ძველი გამოჩენილი ფეხბურთელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ნიაზბეი ალექსანდრეს ძე ძიაპშიპა.

ეს ტრადიციული, ტრაფარეტული სამძიმრის სიტყვები, მოგეხსენებათ, ყოველი ნეკროლოგის აუცილებელი თანმხლები ტექსტი გახლავთ, რომლითაც ადამიანებს აცილებენ ხოლმე იმქვეყნიურ გზაზე, მაგრამ ახლა არ გვინდა ამგვარი ტრაფარეტული სიტყვებით გამოვეთხოვოთ ამ ღვაწლმოსილ სპორტსმენს, რომელიც თავადაც არ იყო ტრაფარეტული ადამიანი, ვინც ესოდენ ბევრი გააკეთა ქართული ფეხბურთის კეთილდღეობისთვის. ნიაზ ძიაპშიპა, მისი ვაჟკაცური, ენერგიით აღსავსე, მხნე თამაში კარგად ახსოვთ ძველ გულშემატკივრებს, ძველ ფეხბურთელებს, საერთოდ, ძველ თაობას, ამიტომაც მან სავსებით კანონიერად დაიმსახურა ასეთი საგანგებო ყურადღება, განსაკუთრებული მიდგომა და დამოკიდებულება. ომისშემდგომი ქართული ფეხბურთის უპირველესი და გამორჩეული პიროვნება გახლდათ ცენტრალური მცველი ნიაზ ძიაპშიპა, საკავშირო ჩემპიონატებისა და სპარტაკიადის ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორი.

65 წელიწადი, თითქოს, ცოტა არაა, მაგრამ დასანანია ის, რომ ჯანმრთელ, ბრგე ვაჟკაცს ასე მოულოდნელად და ანაზდად შეეპარა უკურნებელი მძიმე სენი.

ნიაზ ძიაპშიპა წარმოშობით ოჩამჩირელი გახლდათ, ოჩამჩირელი ბიჭი კი რა ოჩამჩირელია, თუ ბურთის თამაშით არ დაიწყო ცხოვრე-



ბა. ჯერ სკოლა, უბანი, მერე ქალაქის „ნორჩი დინამოელი“, შემდეგ ახალგაზრდას თვალი დაადგეს, გამოარჩიეს და სოხუმის „დინამოში“ გადაიყვანეს, მერე კი თბილისის „დინამოში“ მიიწვიეს.

და, აი, ნიაზ ძიაპშიპა თავის რამდენიმე სოხუმელ მეგობართან ერთად თბილისშია, საქართველოს საუკეთესო გუნდში, სადაც მაშინ ბრწყინავდნენ დიდი ფეხბურთის კორიფეები ბორის პაიჭაძე, გაიოზ ჯეჯელავა, გრიგოლ გაგუა, არჩილ კიკნაძე, ვიქტორ პანიუკოვი, ავთანდილ ღოღობერიძე, გიორგი ანთაძე და სხვები. აი აქ, ამ გამორჩეულ ელიტაში უნდა ეცადა თავისი ძალები 19-20 წლის ჭაბუკს, ეთქვა თავისი სიტყვა და სხვა თანატოლებთან ერთად გაბედულად შედგომოდა ფეხბურთის უძნელეს ციცაბო ალმართს.

ნიაზბეი ძიაპშიპამ ეს შეძლო, შეძლო დამსახურებულად, ღირსეულად, თავისი სპორტული ნიჭისა და ადამიანური თვისებების შესატყვისად.

უშიშარი და შეუბრალებელი იყო ბრძოლის ველზე ნიაზბეი ძიაპშიპა, მეგობარი და ავტორიტეტი მისთვის მწვანე მინდორზე არ არსებობდა, მან იცოდა მხოლოდ ის, რომ უნდა დაეცვა გუნდის ინტერესები, საჭირო იყო თავგანწირული, ულმობელი ბრძოლა და ამას იგი უცდომლად აკეთებდა. ამიტომაც მიანიჭეს მას 1952 წელს სპორტის დამსახურებული ოსტატის მაღალი წოდება, რაც მხოლოდ და მხოლოდ რჩეულთა ხვედრია.

ერთხანს მეორე მწვრთნელად იმუშავა თბილისის „დინამოში“, იყო გუნდის უფროსიც, ილვაწა „შრომით რეზერვებში“, თბილისის ცნობილ 35-ე საფეხბურთო სკოლაში, გლდანის სპორტულ სკოლა-ინტერნატში, ავარჯიშებდა სოხუმის „დინამოს“, სხვადასხვა სამეურნეო საქმიანობასაც ეწეოდა და ყველგან, ყოველთვის იყო უტყუარი მეგობარი, კეთილშობილი ადამიანი, ისეთივე ერთგული, როგორც ცენტრალური მცველის პოსტზე თბილისის „დინამოში.“

ყველანი, ვისთანაც კი მას ურთიერთობა ჰქონია, დიდი გულისტკივილით, სინანულით გამოეთხოვა ღვაწლმოსილ სპორტსმენსა და ღირსეულ ადამიანს — ნიაზბეი ძიაპშიპას.

**საქართველოს რესპუბლიკის სპორტის კომიტეტი**

**საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი.**

# პრესტიჟული სახელ-თიკუნები

● „ფეხბურთის კარუზო“ — ბორის პაიჭაძე
● „მფრინავი ტორპედო“ — კობა წაქაძე
● „კლდის ვეფხვი“ — მიხეილ ხერგიანი
● „ჭიდაობის პროფესორი“ — ვახტანგ ბალავაძე
● „ჭადრაკის დედოფალი“ — ნონა გაფრინდაშვილი
● „მესხის ფინტი“ — მიხეილ მესხი
● „ფეხბურთის პროფესორი“ — ალექსანდრე ჩივაძე
● „ხარბიელის ვირტუოზი“ — ვლადიმერ რუბაშვილი
● „ჭიდაობის რაინდი“ — შოთა ლომიძე
● „ფეხბურთის ბეთჰოვენი“ — სლავა მეტრეველი

საერთაშორისო სარბიელზე დაანათლეს ქართველ სპორტსმენებს ეს სახელ-თიკუნები.

ასე იცნობენ და დღესაც იხსენიებენ სპორტის დამფასებლები ქართველ ათლეტებს გამორჩეული ქცევის, აღზრდილობის, ოსტატობის, ვაჟკაცობისა და სპორტული რაინდობისთვის.

სპორტიდან წასვლის შემდეგ ეს სახელები მათ სამუდამოდ შერჩათ, დიახ, საბედნიეროდ, არსებობს ხალხის მადლიერების გამოსახატავად სახელ-თიკუნის შერქმევის დაუწერელი წესი. ასეთი სახელები ყველა წოდებაზე თუ ჯილდოზე მაღლა დგას, მასში ხომ ხალხის სიყვარულია ჩაქსოვილი.

სიამაყის გრძნობას იწვევს ყოველივე ეს გულშემატკივრებში და ამასთან ახალბედა სპორტსმენისთვის დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობაც გააჩნია.

ასეთი სახელები თავისთავად ყოველი ერის სიმდიდრეა და ხალხშივე დარჩება საგანძურად, დრო მას ვერ გაახუნებს. დედამიწაზე ცოტა თუ მოიძებნება ქვეყანა, სადაც ამდენი საოცნებო სახელებით შეუძლიათ მოიწონონ თავი.

ჩვენი სპორტსმენების სიყვარულისა და პატივისცემის დასტურად უცხოელი სპორტსმენები თავისი ქართველი მეტოქის სახელებსაც არქმევდნენ თავიანთ შვილებს. ფხაკაძის, ლომიძის და რუბაშვილის მაგალითებიც კმარა...

...„ლომიძემ ჰაერში ატაცებული მეტოქე მოძულებით კი არ დაანარცხა ძირს, არამედ რაინდულად მოექცა მას და მაყურებელთა თვალში უსაყვარლესი პიროვნება გახდა უცბად“.

...„შოთა ლომიძის მკურნალობა, თავის ქვეყანაში, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყო ამერიკელმა მოჭიდავემ“.

...„რუბაშვილისადმი პატივისცემის ნიშნად იაპონელმა მოჭიდავემ ულვაშები დაიყენა...“

ასეთი მოვლენის აღწერა პროფესიონალ მოკალმეთა საქმეა. იქნებ ამ წერილის შემდეგ მაინც აღძრას ვინმეს ამის სურვილი.

**გიორგი ლობჟანიძე**

## 12-წლიანი „ჯაჭვი“ გაწყდა

როგორც ცნობილია, ურუგვაის ფეხბურთელთა ნაკრები საკუთარ მინდორზე ყოველთვის განსაკუთრებული წარმატებით თამაშობს ხოლმე. 1980 წლიდან მოყოლებული, როცა იგი მონტევიდეოში სრულიად მოულოდნელად დამარცხდა პერუელებთან მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში, მას შინ აღარ წაუგია მთელი 12 წლის მანძილზე.

და აი, ეს „ჯაჭვი“ გაწყდა. ურუგვაელებმა მონტევიდეოში ძალზე ულიმღამოდ ითამაშეს პოლონეთის ნაკრებთან, მხოლოდ მეკარე სიმბოლდის ოსტატობამ არ მისცა საშუალება სტუმრებს, მიეღწიათ დიდი უპირატესობისთვის. მატჩის დამთავრებამდე 6 წუთით ადრე პოლონელთა თავდამსხმელმა სიგორმა შეძლო ერთადერთი ბურთის გატანა და ურუგვაელებმა დამარცხებულებმა დატოვეს მინდორი.

ამას მალე კიდევ ერთი წაგება მოჰყვა — 1:4 გერმანიის ნაკრებთან.

## დ. ხარინი — „ჩელსიში“

მოსკოვის ცსკა-ს და რუსეთის ნაკრების მეკარე დ. ხარინი ლონდონის „ჩელსიში“ გადავიდა. ინგლისის ეს კლუბი სხვა პირობებთან ერთად ვალდებულებას კისრულობს დროულად გაათავისუფლოს იგი რუსეთის ნაკრების მატჩებში მონაწილეობის მისაღებად. ეს ხაზგასმით ითქვა იმიტომაც, რომ უცხოეთის კლუბები სხვადასხვა მიზეზით ხშირად არღვევენ ხოლმე ამ პირობას.

**მინიფეხბურთი**

# 60 ათასი ჩვენ, 40 თქვენ...

**თბილისის** „იმედის“ სპორტკომპლექსმა (ყოფილი „ქარიშხალა“) მინიფეხბურთელთა კიდევ ერთ კომერციულ ტურნირს უმასპინძლა — ამჯერად დედაქალაქის უმაღლესი სასწავლებლების მოყვარულ ფეხბურთელთა 11 გუნდი ეცილებოდა ერთმანეთს მთავარ პრიზს. სხვებზე უკეთ ითამაშეს და ფინალისკენ გზა გაიკვლიეს სამედიცინო ინსტიტუტისა და „რიო-ვესტას“ გუნდებმა. ნახევარფინალებში მათ, შესაბამისად, დაამარცხეს „მძლეთამძლე“ (ძირითადი დრო 2:2, პენალტებით — 5:4) და „მგლები“ (7:1). გადამწყვეტ მატჩში „რიო-ვესტამ“ იმარჯვა — 6:3 და საპრიზო ფონდის 100 ათასი მანეთიდან გამარჯვებულის წილი — 60 ათასი მიიღო. დამარცხებულს 40 ათასი ერგო. ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი 9 გატანილი ბურთით გახდა გია ჰირაჭაძე (სამედიცინო ინსტიტუტი).

ტურნირის დამთავრებისთანავე გავესაუბრეთ საქართველოს მინიფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტს გურამ ღურღლიშვილს:

— ჩვენი მიზანი იყო და არის მინიფეხბურთის მოყვარულთა დაინტერესება და მოზიდვა. ეს, ცხადია, საერთო ამოცანაა, დასრულებული ტურნირი კი კონკრეტულად გახლდათ რეპეტიცია უმაღლესი სასწავლებლების გუნდების პირველი ეროვნული ჩემპიონატისა, რომელიც მალე გაიმართება. ტურნირმა გაამართლა, აშკარაა, რომ მინიფეხბურთი კვლავ იკრებს ათასობით გულშემატკივარს. ეს შეჯიბრებამაც ცხადყო — მაყურებელი არ დაგვაკლებია და ეს მაშინ, როდესაც დიდ ფეხბურთში ამ მხრივ საქმე, სამწუხაროდ აშკარად არასახარბიელოა.

მიმდინარე წლის 18 იანვარს ასოცია აწყობს მინიფეხბურთის საახალწლო ტურნირს მოყვარულთათვის. მსურველებს შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ ტელეფონით: 39-62-67 ან მობრძანდნენ ასოციაციის შტაბბინაში, უნივერსიტეტის ქუჩა №6 („იმედის“ სპორტკომპლექსი).

**რამინ ყურაშვილი**

## „ელ პაისი“: მარადონა საგრძნობლად გახდა!

როგორც მადრიდის გაზეთი „ელ პაისი“ იუწყება, მარადონა ამ ბოლო ხანებში საგრძნობლად გახდა, 7 კილოგრამი დაიკლო. ამის მიზეზი, „ელ პაისის“ აზრით სამია: 1. მძიმე მატჩები, სადაც აუცილებელია დიდი დატვირთვები, 2. კონფლიქტი ადრინდელ კლუბ „ნაპოლისთან“ [illegible] დიდი ნერვული ენერგია დააკარგვინა. 3. ფიზიკურ მომზადებაში მარადონას ახალი [illegible] მწვრთნელის ფერნანდო სინიორინის აქტიური მუშაობა.

## პრეზიდენტებო, ხმა ამოიღეთ!

ცნობილმა ფეხბურთელმა რუუდ გულიტმა ერთობლივი ინტერვიუ მისცა „გაძეტა დელო სპორტისა“ და „კორიერე დელო სპორტის“ კორესპონდენტებს, სადაც ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ იტალიაში საკმაოდ ხშირია შოვინიანიზმისა და ებრაელების წინააღმდეგ გამოსვლები.

„ამ საქმეში დაუყოვნებლივ უნდა [illegible] სილვიო ბერლუსკონი („მილანი“ [illegible]) [illegible] იელი („იუვენტუსის“ ხელმძღვანელი), რათა ადამიანებმა ნახონ, ვის მხარეზე არიან პრეზიდენტები“.

# სპორტ-ბირჟა

## განცხადებები მიიღება უფასოდ

**ვიყიდი**

01;01. შვედურ ტანვარჯიშულ კედელს
01.02. ველოტრენაჟორებს
01.03. სხვადასხვა სატანვარჯიშო იარაღს
01.04. ჰანტელებს
01.05. სხვადასხვა სპორტულ ინვენტარს.

**იყიდება**

02.01. ნახევრადშალის სპორტული კოსტუმები
02.02. მორბენლის ფეხსაცმელი („კროსოვკები“)
02.03. ფოტოფირები (შეფუთული, 64 მგრძნობიარობის)
02.04. ქუთაისის ფეხბურთის (ძირითადად, „ტორპედოს“) ისტორიის ამსახველი ფოტოკომპლექტი.

## საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგი თანამდებობების დასაკავებლად

**სოციალურ-ჰუმანიტარულ დისციპლინათა კათედრაზე:**

1. კათედრის პროფესორი — 1 ერთეული, ფილოსოფიის სპეციალობით, მეცნ. დოქტორი;
2. კათედრის დოცენტი — 1 ერთეული, ფილოსოფიის სპეციალობით, მეცნ. კანდიდატი;
3. კათედრის დოცენტი — 0,5 ერთეული, ეკონომიკის თეორია, მეცნ. კანდიდატი.

**სპორტთამაშების კათედრაზე:**

კათედრის დოცენტი — 1 ერთეული, ფრენბურთის სპეციალობით, მეცნ. კანდიდატი.

**ფეხბურთის, ხელბურთის და ჩოგბურთის კათედრაზე:**

1. კათედრის პროფესორი — 0,5 ერთეული, ხელბურთის სპეციალობით, მეცნ. კანდიდატი;
2. კათედრის უფროსი მასწავლებელი — 1 ერთეული, ხელბურთის სპეციალობით.

**საწყლოსნო სპორტის კათედრაზე:**

კათედრის დოცენტი — 1 ერთეული, წყალბურთის სპეციალობით, მეცნ. კანდიდატი

**ფიზიკური აღზრდის თეორიის კათედრაზე:**

1. კათედრის დოცენტი — 1 ერთეული, მეცნ. კანდიდატი.
2. კათედრის უფროსი მასწავლებელი — 1 ერთეული, ჭადრაკის სპეციალობით.

კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან გამოცხადებისა, ცნობების მიღება შეიძლება კადრების განყოფილებაში. ტელ: 23-09-02.

მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი № 49.


# გიორგი კახნიაშვილი

## („პატარა ვერელი“)



ქართულ სპორტს კიდევ ერთი ბერმუხა წაექცა. გიორგი კახნიაშვილს, ვერაზე დაბადებულსა და გაზრდილს, ხალხმა სიყვარულით პატარა ვერელი რომ უწოდა, სულ ოთხი წელიდა აკლდა საუკუნის გასრულებამდე.

გიორგი კახნიაშვილი სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა. ამ ლეგენდას საფუძვლად ედო მისი კაცურ-კაცობით ალსავსე სპორტული ბიოგრაფია, რომელიც 15 წლის ჭაბუკმა დაიწყო ჯერ კიდევ 1911 წელს, დიდუბის ეკლესიის უკან მდებარე ე. წ. „გრიშუას ბაღის არენაზე“ და გაგრძელდა საქართველოს სპორტულ ასპარეზებსა და ცირკებში.

ქართული ჭიდაობის ჭადოქრად მის ჩამოყალიბებაში მთავარი როლი შეასრულა იმხანად მოქმედი მოჭიდავეების განუმეორებელმა წრემ და მისმა სპორტულმა ოჯახმა. გიორგის პირველი მრჩევლები იყვნენ ქართველ მოჭიდავეთა ძლევამოსილი პლეადის წარმომადგენლები — კულა გლდანელი, ნესტორ ესებუა, კოსტა მაისურაძე, სანდრო კანდელაკი და სხვანი, მხარის მიმცემნი კი — მისი მეტოქე-მეგობრები — ირაკლი ვაჩნაძე, მიხა ქურხული, ვანო წამალაშვილი, ვანო აბულაძე და სხვანნი მრავალნი. მთავარი მასაზრდოებელი კი იყო ჩვენი ეროვნული ჭიდაობა.

გიორგის უფროსი ძმა — შაშო ვერელი ერთ-ერთი კოლორიტული ფალავანი იყო ჩვენი საუკუნის დასაწყისში, უმცროსმა ძმამ ირაკლიმ კი მეტად საგულისხმო გამოკვლევები დაგვიტოვა ქართული ჭიდაობის თეორიის დარგში. ასეთ სპორტულ წრესა და ოჯახში აღზრდილმა გიორგი კახნიაშვილმა შემდგომში დიდი ღვაწლი დასდო ქართულ სპორტულ მოძრაობას, როგორც ქართული ჭიდაობის დაუღალავმა პოპულარიზატორმა და ჩვენი მწვრთნელებისა და ახალგაზრდა მოჭიდავეთა გულისხმიერმა აღმზრდელმა და მრჩეველმა. მისი მეტად სასარგებლო და ორიგინალური მეთოდური შეხედულებების საფუძველზე საქართველოს კინოსტუდიამ და ტელეფილმების სტუდიამ შექმნეს საინტერესო კინოფილმები. სხვადასხვა დროს პრესაში გამოქვეყნდა მისი მრავალი ინტერვიუ და მეთოდური წერილი, რომლებიც დღეს ქართული ჭიდაობის დამხმარე სახელმძღვანელოდაც განიხილება.

წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი მამულიშვილი, დიდი სპორტსმენი და აღმზრდელი, სამაგალითო მეოჯახე, საზოგადო მოღვაწე (იგი 1981 წლიდან ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდიუმის მუდმივი წევრი იყო, ხელმძღვანელობდა ბავშვთა აღმზრდელობით საზოგადოებრივ ორგანიზაციებს), მკლავმოუღლელი მუშაკაცი (მისი ავტომობილის მართვის მოწმობა ნომრით 82-ე იყო), ქართველ მოჭიდავეთა ომამდელი პლეადის უკანასკნელი მოჰიკანი, რომლის პირველმა სპორტულმა სასწაულებმა ასე აამღერა ცნობილი აშუღი იეთიმ გურჯი: „ახალ მოჭიდავეებში ერთი გამოერია, ფალავნების ჰამქარში ვიტყვი, გმირად სწერია, ცეცხლი ნაპერწკალია, რას დააკლებს მტერია, გიორგია ვერელი, მისთვის დამიმღერია“.

ღმერთმა შეაძლებინოს ყველა ქართველს თავისი ქვეყნისა და თაყვანისმცემლების იმედების გამართლება ისე, როგორც ეს შეძლო ქართული სპორტის ისტორიაში სამუდამოდ დამკვიდრებულმა ბატონმა გიორგი კახნიაშვილმა!

**საქართველოს სპორტის კომიტეტი,**
**ქართული ჭიდაობის ფედერაცია.**

# ალექსანდრე კაპანაძე



ღვაწლმოსილ სპორტულ მუშაკთა რიგებს გამოაკლდა რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი, 40-იანი წლების მოფარიკავეთა თაობის ღირსეული ოჯახის წევრი ალექსანდრე კაპანაძე.

მთელი მისი ცხოვრება — ყმაწვილობიდან სიცოცხლის ბოლომდე — ქართული სპორტის უკეთეს მერმისზე ზრუნვით იყო გამსჭვალული. 1950 წელს, ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, განაწილებით, უყოყმანოდ მიეშურება თელავს ფიზაღზრდის მასწავლებლად სამუშაოდ. 1963-65 წლებში უნარიანი და ენერგიული სპეციალისტი ამავე რაიონის განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის დირექტორად დააწინაურეს, შემდეგ სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ რაისაბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს, მერე ისევ სპორტსკოლას ჩაუდგა სათავეში, სადაც 1974 წლამდე იმუშავა. თელავში გატარებული 24 წლიწადი რაიონის ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში მის მიერ შეტანილი თვალსაჩინო წვლილით აღბეჭდილი ისტორიაა.

1974 წლიდან ალექსანდრე კაპანაძე თბილისში ბრუნდება და როგორც გამოცდილ მუშაკს „კოლმეურნის“ საქალაქო საბჭოს ინსტრუქტორად ნიშნავენ, შემდეგ იქვე თავმჯდომარედ ირჩევენ, სადაც 1986 წლამდე, პერსონალურ პენსიაზე გასვლამდე იმუშავა. არაერთი ჯილდოთი აღნიშნულა შრომით სარბიელზე მისი დამსახურება.

გაისად 70 წელი შეუსრულდებოდა.

წავიდა ჩვენგან კაცი, რომელმაც კეთილი სახელი დატოვა ამ ქვეყნად, მის პიროვნებას და ღვაწლს მუდამ მადლიერების გრძნობით და სითბოთი მოიგონებს ყველა, ვისაც ამ ნათელ პიროვნებასთან ჰქონია ურთიერთობა.

**პროფკავშირული სპორტული საზოგადოება „შევარდენის“ რესპუბლიკური საბჭო,**

**თელავის რაიონის სპორტული ორგანიზაციები**

# სწორება მილიარდებზე

**სილვიო** ბერლუსკონი, რა თქმა, უნდა, დაბადებიდანვე არ ყოფილა „მილანის“ ფეხბურთელთა კლუბის პრეზიდენტი. უფრო მეტიც, სანამ მილიონერი გახდებოდა, იგი ჩვეულებრივი ფეხბურთის მოყვარული იყო, თამაშობდა პროვინციულ კლუბში და მცირე ხნით ერთ მესამე ხარისხოვან გუნდს ავარჯიშებდა. „მილანი“, როგორც ჩანს, მისი ოცნების მწვერვალი იყო, მაგრამ ამ ოცნებას არავის უმხელდა. ყოველ შემთხვევაში, „მილანისადმი“ ერთგულება მან მოგვიანებით გამოამჟღავნა, როცა ცნობილი ბიზნესმენი და სპორტულ წრეებში მიღებული საქმოსანი გახდა.

ადრე ხშირად დავობდნენ იმის თაობაზე, რამდენად შეიძლებოდა სპორტი დამოკიდებული ყოფილიყო კომერციაზე. ზოგი საერთოდ უარყოფდა კიდეც კავშირს მათ შორის და ყველაფერს ჟურნალისტთა ავადმყოფურ ფანტაზიას აბრალებდა. მაგრამ ასეთი ურწმუნონი ცოტანი იყვნენ.

ბერლუსკონიმ თავისი საქმიანობა ბიზნესის სფეროში გონივრულად დაუკავშირა სპორტს. იგი ადრევე მიხვდა, რომ, რაც უფრო მეტ ფულს ჩადებდა სპორტში, რაც უფრო ეფექტურად დააბანდებდა თანხებს ამ სფეროში, მით უფრო მყარ და გარანტირებულ მოგებას მიიღებდა. 55 წლის ბიზნესმენის ქონებას გაზეთი „იუროპიანი“ 2 მილიარდ გირვანქა სტერლინგად აფასებს და, უნდა ითქვას, ამ თანხის დიდი ნაწილი სპორტიდან მოდის.

სილვიო ბერლუსკონის პიროვნულად უყვარს ფეხბურთი, როგორც ახალგაზრდობისდროინდელი გატაცება, თორემ ფულს ს[illegible]ლად“ იგი ერთნაირი წარმატებით იყენებს სპორტის ყველა სახეობას. გაზეთ „სპორტ ე მედიჩინას“ განცხადებით, ამ ცოტა ხნის წინ მილიარდერმა ბერლუსკონიმ გადაწყვიტა თავისი სპორტული „იმპერიის“ გაფართოება ფრენბურთის ხარჯზე. უფრო ზუსტად, მან ამჯერად ყურადღება შეაჩერა ლოსანჯელესელ ფრენბურთელზე დუგ ბილზე, რომელსაც აშშ-ში „წმინდანს“ ეძახიან და სურს მისი გადაბირება მილანის კლუბ „მედიოლანუმში“. ბერლუსკონი ფულს, ცხადია, არ იშურებს — ბილისა და მისი ორი ამერიკელი ასისტენტის მგზავრობის, დახვედრისა და უმაღლეს დონეზე მიღების ხარჯებს თავად კისრულობს, ფრენბურთელს კი წელიწადში ხელფასის სახით 300 მილიონ ლირას სთავაზობს.

1992 წელს იტალიის ტელევიზიაში ყველაზე პოპულარულ სპორტულ პროგრამად ითვლებოდა გადაცემა „პრესინგი“, რომელიც მიჰყავდა ოჯახურ დუეტს (ცოლ-ქმარს) რაიმონდო ვიანელისა და კეი სენვიკს. ისინი საკმაოდ კომპეტენტური კომენტატორები არიან, აქვთ იუმორი, არ ერიდებიან მწვავე პრობლემებს და ამიტომაც საყოველთაო ავტორიტეტით და პოპულარობით სარგებლობენ. მაგრამ ვიანელისა და სენვიკის ერთი შეხედვით გაუგებარ სითამამეს აქვს [illegible] აფინანსებს სილვიო ბერლუსკონი, ე. ი. ყველაფერზე პასუხისმგებელი ის გახლავთ.

სტიმული ნებისმიერი სპორტული შეჯიბრების აუცილებელი თანამგზავრი გახლავთ. ბოლო დროს სიტყვა სტიმულს სულ უფრო ხშირად უკავშირებენ მეორე არანაკლებად გავრცელებულ სიტყვას — ვალუტას. მათი „მშვიდობიანი“ თანაარსებობა კი ყველაზე ნათლად წარმოდგენილია „მილანის“ საფეხბურთო კლუბის მაგალითზე:

არსებობს კარგი საფეხბურთო გუნდი, არსებობს დიდი გუნდი, სუპერგუნდი, არსებობს... „მილანი“, რომელიც ყველაფერზე მაღლა დგას. „მილანი“ ბერლუსკონის ჰობი კი არ გახლავთ მხოლოდ, „მილანი“ მისი მილიარდების გამოხატულებაც არის. ამ გუნდის წლიური ბიუჯეტი 48 მილიონ გირვანქა სტერლინგს შეადგენს, მაგრამ იგი კიდევ 20 მილიონი გირვანქით შეიძლება გაიზარდოს, თუ წარმატებით გამოვა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის წლევანდელ გათამაშებაში. ბერლუსკონი არ მალავს, რა ვზით შეიძლება მოხდეს ეს ყველაფერი. იგი პირველ რიგში ასახელებს ტელეტრანსლაციის უფლების გაყიდვას, აგრეთვე, სპონსორულ საქმიანობას, რეკლამასა და ბილეთების გაყიდვას.

გარდა ყველაფრისა, ბერლუსკონი ფეხბურთელებს დიდ პრემიებს ჰპირდება „ჰეთ-თრიკის“ შემთხვევაში, ანუ იტალიის ეროვნულ ჩემპიონატში, იტალიის თასისა და ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში გამარჯვებისათვის. იტალიელი მილიარდერი არ გახლავთ ის კაცი, რომელსაც უყვარს ფულის ფლანგვა. ასეთი ხელგაშლილობა, როგორც ჩანს, საქმეს სჭირდება.

რის ხარჯზე შექმნა ბერლუსკონიმ ეს სუპერგუნდი, რომელიც შემდგომში საკმაოდ სოლიდური მოგების წყაროდ იქცა? პირველ რიგში და უმთავრესად დიდი ფულის ხარჯზე. ინგლისურ „სანდი ექსპრესს“ ამასთან დაკავშირებით საინტერესო ციფრები მოჰყავს: „მილანს“ ჯანლუიჯი ლენტინის შეძენა დაუჯდა 13 მილიონი გირვანქა სტერლინგი, დეჟან სავიჩევიჩის — 11,5 მილიონი, ჟან-პიერ პაპენისა — 10 მილიონი. საერთოდ კი, ბოლო რამდენიმე თვეში ბერლუსკონის ფეხბურთის ბაზარზე „გადაისროლა“ 50 მილიონი გირვანქა სტერლინგი.

რა კონკრეტულ მიზანს ისახავს „მილანი“? როგორც უკვე აღვნიშნეთ, მას ჯერ სურს პირველი იყოს იტალიაში, მერე — ევროპაში, ბოლოს კი მსოფლიოში. ბერლუსკონის არ უყვარს, როცა მას დაუმსახურებლად მიაწერენ რაიმე იდეას (რაც, სხვათა შორის, ხშირად ხდება ხოლმე). დიდი ხანია ლაპარაკია ევროპის საფეხბურთო ლიგის შექმნაზე. იტალიელი მილიარდერი აცხადებს, რომ იგი არ გახლავთ ამ იდეის ავტორი. მაგრამ იმასაც ამბობენ, რომ ასეთი ლიგა სულ მალე უსათუოდ შეიქმნება. მერე კი, მისი აზრით, არც მსოფლიო ლიგის არსებობა იქნება მოულოდნელი, ლიგისა, რომელიც გააერთიანებს ევროპისა და სამხრეთ ამერიკის საუკეთესო კლუბებს.

## სუვენირების ინდუსტრია

აშშ-ში დიდი პოპულარობით სარგებლობს სპორტული სუვენირების წარმოება. გაზეთ „სპორტინგ გუდზ ბიზნესის“ ვარაუდით, სპორტული სუვენირების პროდუქციის ბაზარი დაახლოებით 4 მილიარდი დოლარით შეიძლება შეფასდეს. ამ პროდუქციით ვაჭრობა ძირითადად ხორციელდება სპორტულ, სუვენირებისა და საჩუქრების მაღაზიაში.

მთავარი რედაქტორი
**თენგიზ გაჩეჩილაძე**

საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის თანამშრომლები თანაუგრძნობენ დურმიშხან ჩიტაშვილს
მამის
გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380096, ვ. კოსტავას, 14. ტელ: 99-56-47, 99-81-71. ინდექსი 66485 INDEX დაიბეჭდა გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბაში